

დამტკიცებულია: საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით, N 10/01 – N 51, 01/02/2010
ცვლილება: საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით, N 163/01 – N 931, 17/12/2010
ცვლილება: საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით, N 116/04 – N 642, 30/12/2010
ცვლილება: საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით, N 8/04 – N 17, 18/01/2013
ცვლილება: საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით, N 74/04 – N 235, 09/06/2013
ცვლილება: საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით, N 17/04 – N 39, 07/02/2014
ცვლილება: საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით, N 26/04 – N 68, 28/02/2014
ცვლილება: საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით, N 10/04 – N 21, 26/01/2015

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოკლევადიანი დისკონტური და საშუალო ვადიანი კუპონური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების – სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების (შემდგომში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები) გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის წესებს.
2. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება ხდება ეროვნული ვალუტით, არამატერიალიზებული ფორმით.
3. ერთი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულებაა 1000 ლარი.
4. სახაზინო ვალდებულებების გამოშვება ხდება ერთ წლამდე დაფარვის ვადით, დისკონტით და დაიფარება ნომინალური ღირებულებით.
5. სახაზინო ობლიგაციების გამოშვება ხდება 1-დან 10 წლამდე დაფარვის ვადით, კუპონის 6 თვეში ერთხელ გადახდით.

მუხლი 2. დებულებაში გამოყენებული ტერმინები

ამ დებულების მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) სახაზინო ვალდებულება – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (შემდგომში „ფინანსთა სამინისტრო“) მიერ გამოშვებული მოკლევადიანი დისკონტური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი (შემდგომში „სახაზინო ვალდებულება“);
- ბ) სახაზინო ობლიგაცია - ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული საშუალოვადიანი კუპონური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი (შემდგომში „სახაზინო ობლიგაცია“);
- გ) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზარი – ბაზარი, რომელზეც ხდება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა მათი გამოშვებისას;
- დ) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზრის მონაწილეები – კომერციული ბანკები და მათი კლიენტები;
- ე) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი - ბაზარი, რომელზეც ხდება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა პირველად ბაზარზე განთავსების შემდეგ;
- ვ) კომერციული ბანკი (შემდგომში „ბანკი“) – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას;
- ზ) ბანკის კლიენტები (შემდგომში „კლიენტები“) – რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირები;
- თ) ნომინალური ღირებულება – თანხა, რომელსაც ემიტენტი (ფინანსთა სამინისტრო) უხდის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მფლობელს დაფარვის ვადის დადგომისას;
- ი) შესყიდვის ფასი (ძირითადი თანხა) - თანხა, რომელსაც იხდის მყიდველი სახელმწიფო ფასიანი

ქალაქების შემენისას;

კ) დისკონტის თანხა – სხვაობა სახაზინო ვალდებულებების ნომინალურ ღირებულებასა და შესყიდვის ფასს შორის;

ლ) კუპონი - სახაზინო ობლიგაციების ფიქსირებული სარგებელი, რომელსაც ღებულობს სახაზინო ობლიგაციის მფლობელი წინასწარ განსაზღვრული პერიოდულიობით;

მ) შექმნის დღე - აუქციონის ჩატარების დღე;

ნ) ანგარიშსწორების დღე - დღე, როდესაც ხდება აუქციონზე შექმნილი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ფასის ექვივალენტი თანხის ფინანსთა სამინისტროსათვის გადახდა;

ო) დაფარვამდე დღეების რაოდენობა – ანგარიშსწორების დღიდან დაფარვის დღემდე კალენდარული დღეების რაოდენობა;

პ) დაფარვის დღე – დღე, როდესაც უნდა მოხდეს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განაღდება;

ჟ) აუქციონის განკვეთის დონე - ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი, რომლის ზემოთაც აუქციონში მონაწილე განაცხადები არ დაკმაყოფილდება;

რ) მრავალი ფასის მეთოდი – აუქციონის ჩატარების მეთოდი, რომლის დროსაც აუქციონში გამარჯვებული მყიდველის თითოეული განაცხადი კმაყოფილდება განაცხადში მითითებული ფასით;

ს) კონკურენტული განაცხადი – განაცხადი, რომელიც მონაწილეობს აუქციონში და გამარჯვების შემთხვევაში კმაყოფილდება განაცხადში მითითებული ფასით;

ტ) არაკონკურენტული განაცხადი – განაცხადი, რომელიც არ მონაწილეობს აუქციონში და კმაყოფილდება აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთით;

უ) საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი – აუქციონზე გამარჯვებული კონკურენტული განაცხადების მიხედვით გამოთვლილი საშუალო შეწონილი პროცენტი;

ფ) გამოცხადებული ემისია – აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოცულობა;

ქ) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება (ემისია) – აუქციონზე გაყიდული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოცულობა;

ღ) ემიტენტი – სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამომშვები, რომელიც ვალდებულია მოახდინოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განაღდება მათი დაფარვის დღეს, ნომინალური ღირებულებით;

ყ) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მფლობელი – იურიდიული ან პიზიკური პირი, რომელსაც აქვს საკუთრების უფლება სახაზინო ვალდებულებაზე და სახაზინო ობლიგაციებზე;

შ) ნომინალური მფლობელი – ბაზრის შუამავალი, რომელსაც მფლობელი წერილობითი ხელშეკრულებით ანიჭებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეესტრში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების თავის სახელზე აღრიცხვის და მათი განკარგვის უფლებას;

ჩ) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი – სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყოველი გამოშვებისათვის (ემისიისათვის) მინიჭებული ISO-6166 სტანდარტის შესაბამისი საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი;

ც) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეესტრი – ელექტრონული ჩანაწერები ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში, სადაც მითითებულია ინფორმაცია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, მათი მფლობელებისა და ნომინალური მფლობელების შესახებ;

ძ) სუბრეესტრი – რეესტრი, რომელსაც კომერციული ბანკი აწარმოებს საკუთარი კლიენტების ჭრილში;

წ) ელექტრონული სავაჭრო სისტემა – პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის საშუალებითაც ხდება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა აუქციონზე და შესაძლებელია ვაჭრობა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე.

ჭ) ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა – ეროვნული ბანკის მიერ ოპერირებადი ელექტრონული სისტემა, სადაც ხდება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების და მათთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვა და ანგარიშსწორება;

ბ) ანგარიშსწორების ანგარიში – დროის რეალურ რეჟიმში ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში არსებული მონაწილის სისტემური ანგარიშსწორების ანგარიშისა და ქვეანგარიშების ერთობლიობა, რომელიც შეესაბამება კომერციული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშს ან სხვა მონაწილის ანგარიშს, რომელთა საშუალებითაც ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში ხორციელდება აღნიშნული სისტემის მონაწილის ფულადი სახსრების განკარგვა (ანგარიშსწორება). ანგარიშსწორების ანგარიშისა და ქვეანგარიშების ერთობლიობა გულისხმობს მათზე აღრიცხული თანხების არითმეტიკულ ჯამს.

მუხლი 3. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზრის ორგანიზება

1. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველად ბაზარზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა ხდება აუქციონის მეშვეობით.
2. აუქციონები ტარდება ელექტრონული სავაჭრო სისტემის გამოყენებით.
3. აუქციონები ტარდება მრავალი ფასის მეთოდით.
4. აუქციონი ტარდება საქართველოს ეროვნულ ბანკში (შემდგომში - ეროვნული ბანკი).
5. აუქციონზე მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ კომერციულ ბანკებს.
6. ფინანსთა სამინისტრო აუქციონის შედეგების შესახებ ინფორმაციას იღებს ელექტრონული სავაჭრო სისტემის მეშვეობით.

მუხლი 4. აუქციონის გამოცხადება

1. არაუგვიანეს ყოველი კვარტლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ფინანსთა სამინისტრო აქვეყნებს ემისიის კალენდარს სულ მცირე მომდევნო სამი თვისათვის.
2. ემისიის კალენდარი მოიცავს ინფორმაციას აუქციონების ჩატარების თარიღების, თითოეულ აუქციონზე გასაყიდი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ვადიანობის და მოცულობის შესახებ.
3. ფინანსთა სამინისტროს მიერ ემისიის კალენდრის შედგენა და მასში ნებისმიერი ცვლილების განხორციელება ხდება ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით, რისთვისაც იგი კალენდრის პროექტს გამოქვეყნებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე უგზავნის ეროვნულ ბანკს.
4. აუქციონამდე არანაკლებ ხუთი კალენდარული დღით ადრე ფინანსთა სამინისტრო ეროვნულ ბანკს უგზავნის აუქციონის ჩატარების შესახებ შეტყობინებას და იმავე დღეს აქვეყნებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და სამინისტროს ვებ-გვერდზე.
5. აუქციონის გამოცხადებისას ფინანსთა სამინისტრო განსაზღვრავს ემისიის აუქციონის თარიღს, გასაყიდად გამოტანილი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რაოდენობას, ანგარიშსწორებისა და დაფარვის თარიღებს, ასევე სახაზინო ობლიგაციებისათვის კუპონის გადახდის თარიღებს.
- 5¹. ფინანსთა სამინისტროს უფლება აქვს მოახდინოს ადრე გამოშვებული ფასიანი ქაღალდების დამატებითი ემისია ერთ ან რამდენიმე აუქციონზე. ამასთან, ყველა ასეთ ფასიან ქაღალდს ექნება ერთი და იგივე საიდენტიფიკაციო ნომერი, პირველად ემისიაზე დაფიქსირებული კუპონის განაკვეთი, კუპონების გადახდისა და ფასიანი ქაღალდის დაფარვის თარიღები.
6. ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს აუქციონის გამოცხადებას ელექტრონული სავაჭრო სისტემის მეშვეობით ფინანსთა სამინისტროდან შესაბამისი ინფორმაციის მიღების დღეს.
7. აუქციონის გამოცხადებისას ეროვნული ბანკი მიუთითებს აუქციონის დაწყების დროს.
8. ფინანსთა სამინისტროს უფლება აქვს გააუქმოს დანიშნული აუქციონი, რის შესახებაც ის აუქციონის ჩატარების თარიღამდე ერთი სამუშაო დღით ადრე ინფორმაციას უგზავნის ეროვნულ ბანკს და აღნიშნულ ინფორმაციას განათავსებს სამინისტროს ვებ-გვერდზე.

მუხლი 4¹. (გაუქმებულია).

მუხლი 4². სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება (ემისია) ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისათვის

1. გამოცხადებულ ემისიაზე დამატებით, ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობისთვის, ფინანსთა სამინისტრო უშვებს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს.
2. ფინანსთა სამინისტრო, ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით, წინასწარ განსაზღვრავს ამ მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიების მოცულობებს, რის შესახებაც წინასწარ ეცნობებათ ბანკებს.
3. აუქციონის ჩატარების შეტყობინებაში ცალკე მითითება ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისათვის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების რაოდენობა და მოცულობა.
4. ამ მუხლის შესაბამისად გამოსაშვები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისია ხორციელდება აუქციონის მეშვეობით, ამავე აუქციონზე წარდგენილი კონკურენტული განაცხადების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთით.
5. ამ მუხლის შესაბამისად გამოსაშვები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესაძენად აუქციონის დაწყებამდე, აუქციონზე განაცხადების წარდგენის განსაზღვრული წესით ბანკი აგზავნის შესაბამის არაკონკურენტულ განაცხადს, რომელიც შესაძლებელია აღემატებოდეს ამ დებულების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ ლიმიტს.
6. თითოეული ბანკისათვის საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული ლიმიტის ფარგლებში ავტომატურად კმაყოფილდება ამ მუხლის შესაბამისად გამოშვებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების არაკონკურენტული განაცხადი, რომელიც ამ დებულების მოთხოვნათა დაცვით არის წარდგენილი.

მუხლი 5. განაცხადების წარდგენის წესი

1. განაცხადების მიღება იწყება აუქციონის დღეს, აუქციონის დაწყებამდე 15 წუთით ადრე და წყდება აუქციონის დაწყების მომენტში.
2. ბანკებს უფლება აქვთ აუქციონზე განაცხადი წარადგინონ საკუთარი სახელით (ბანკის პორტფელისთვის) და/ან კლიენტის დავალებით (კლიენტის პორტფელისთვის).
3. ბანკის კლიენტები აუქციონზე განაცხადებს წარადგენენ კომერციული ბანკების მეშვეობით.
4. ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი ვალდებულია ეროვნულ ბანკს გაუგზავნოს განაცხადების წარმოდგენი კლიენტების სია, შესაბამისი თანხების მითითებით.
5. განაცხადი შეიძლება იყოს კონკურენტული და არაკონკურენტული.
6. არაკონკურენტულ განაცხადებს (როგორც საკუთარს, ისე კლიენტისას) ბანკი წარმოადგენს ჯამურად, მთლიანი თანხის და განაცხადების რაოდენობის მითითებით.
7. ერთი არაკონკურენტული განაცხადის თანხა არ უნდა აღემატებოდეს 20 000 ლარს.
8. ერთი კლიენტის დავალებით ბანკს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი არაკონკურენტული განაცხადი.
9. საკუთარი სახელით ბანკს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი არაკონკურენტული განაცხადი.
10. ბანკის მიერ კლიენტების დავალებით აუქციონზე წარმოდგენილი არაკონკურენტული განაცხადების რაოდენობა არ იზღუდება.
11. ბანკის მიერ აუქციონზე წარსადგენი კონკურენტული განაცხადების რაოდენობა არ იზღუდება.
12. თითოეული ბანკის მიერ აუქციონზე წარდგენილი საკუთარი განაცხადების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გამოცხადებული ემისიის მოცულობის 75%-ს.
- 12¹. ბანკის საკუთარ განაცხადად ჩათვლება სხვა ბანკის და/ან კლიენტის განაცხადი, თუ ბანკი პირდაპირი და/ან არაპირდაპირი გზით ფლობს ასეთი ბანკის და/ან კლიენტის 10% ან/და მეტი ოდენობის წილს.

- 12². თითოეული ბანკის მიერ წარდგენილი ერთი კლიენტის განაცხადების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გამოცხადებული ემისიის მოცულობის 50%-ს.
- 12³. ბანკის ყველა კლიენტის განაცხადების რაოდენობა და ჯამური მოცულობა შეზღუდული არ არის.
13. ერთი კონკურენტული განაცხადის მინიმალური მოცულობა შეადგენს 50 000 ლარს.
14. კომერციული ბანკები განაცხადებს წარადგენენ ელექტრონული ფორმით აუქციონის მომსახურე პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით.
15. ელექტრონული განაცხადის წარმოდგენით ბანკი აღიარებს წინამდებარე წესების მოთხოვნათა სავალდებულო შესრულებას.
16. აუქციონზე დაიშვება მხოლოდ სწორად შევსებული ელექტრონული განაცხადი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ ინფორმაციას:
- ა) კონკურენტული განაცხადის შემთხვევაში: შესასყიდი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რაოდენობას და საპროცენტო განაკვეთს (მეათასედის/მძიმის შემდეგ სამი ციფრის სიზუსტით). კლიენტის სახელით გაკეთებულ განაცხადში ბანკი გააკეთებს შესაბამის მითითებას.
 - ბ) არაკონკურენტული განაცხადის შემთხვევაში: შესასყიდი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ჯამურ ოდენობას და საკუთარი და კლიენტებისაგან მიღებული განაცხადების რაოდენობას.
17. აუქციონის დაწყებამდე კომერციულ ბანკს უფლება აქვს ძველი განაცხადი გააუქმოს და/ან გაითხოვოს, ხოლო მის ნაცვლად წარადგინოს ახალი განაცხადი. დაუშვებელია აუქციონის დაწყების შემდეგ განაცხადის შეცვლა ან უკან გამოთხოვა.
18. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ბანკის მხრიდან წარმოშობილი ტექნიკური პრობლემების გამო ვერ ხერხდება განაცხადების მიღება, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შეცვალოს აუქციონის დაწყების დრო, რის შესახებაც იგი დაუყოვნებლივ აცნობებს ფინანსთა სამინისტროს და მონაწილე ბანკებს. ამ შემთხვევაში აუქციონის დაწყების ახალი დროის გამოცხადება უნდა მოხდეს აუქციონის დაწყებამდე სულ მცირე ერთი საათით ადრე.

მუხლი 6. აუქციონის ჩატარების წესი

1. აუქციონი იწყება წარმოდგენილი არაკონკურენტული განაცხადების მოცულობის დაჯამებით.
2. აუქციონზე მიღებული განაცხადები ეგზავნება ფინანსთა სამინისტროს. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსთა სამინისტრო მომდევნო ერთი საათის განმავლობაში ეროვნულ ბანკს არ გაუგზავნის შეტყობინებას აუქციონის განკვეთის დონის დადგენის შესახებ, მაშინ აუქციონი სრულდება:
 - ა) ემისიის სრულად განთავსებით, თუ აუქციონზე შემოსული განაცხადების მოცულობა უტოდლება ან აღემატება გამოცხადებული ემისიის მოცულობას.
 - ბ) შემოსული განაცხადების სრულად დაკმაყოფილებით, თუ აუქციონზე შემოსული განაცხადების მოცულობა ნაკლებია გამოცხადებული ემისიის მოცულობაზე.
3. არაკონკურენტული განაცხადების ჯამური თანხა, მაგრამ არაუმეტეს მთლიანი გამოცხადებული ემისიის 25%-ისა, აკლდება ემისიის მოცულობას და დარჩენილი ნაწილით განისაზღვრება კონკურენტული განაცხადების აუქციონის მოცულობა.
4. იმ შემთხვევაში თუ მონაწილეების მიერ წარმოდგენილი არაკონკურენტული განაცხადების საერთო თანხა გამოცხადებული ემისიის 25%-ზე მეტია, არაკონკურენტული განაცხადები დაკმაყოფილდება პროპორციული განაწილების პრინციპით.
5. აუქციონზე დაშვებული ყველა კონკურენტული განაცხადი დალაგდება განაცხადში მითითებული საპროცენტო განაკვეთების ზრდის მიხედვით.
6. პირველ რიგში დაკმაყოფილდება ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე კონკურენტული განაცხადი, ხოლო შემდგომ ყოველი მომდევნო მაღალი განაკვეთის მქონე კონკურენტული განაცხადი და აუქციონი სრულდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული კონკურენტული განაცხადების საერთო თანხა გაუთანაბრდება კონკურენტული განაცხადების აუქციონის მოცულობას ან საპროცენტო განაკვეთი მიაღწევს აუქციონის განკვეთის დონეს.

7. იმ შემთხვევაში, თუ აუქციონის დასრულებისას ყველაზე მაღალი ერთი და იგივე საპროცენტო განაკვეთის მქონე რამდენიმე კონკურენტული განაცხადის თანხა აღემატება ჯერ კიდევ გაუნაწილებელი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოცულობას, ეს განაცხადები დაკმაყოფილებიან პროპორციული განაწილების პრინციპით.

8. საჭიროების შემთხვევაში, პროპორციული განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, გასაყიდად გამოტანილი ფასიანი ქაღალდების რაოდენობა გაიზრდება ან შემცირდება აუქციონის პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით.

9. სახაზინო ობლიგაციის კუპონის განაკვეთი დგინდება აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთის ერთი მერვედის ჯერადამდე დამრგვალებით.

9¹. ფინანსთა სამინისტროს მიერ ადრე გამოშვებული სახაზინო ობლიგაციების დამატებითი ემისიის შემთხვევაში, კუპონის განაკვეთად აიღება ასეთი სახაზინო ობლიგაციის პირველ აუქციონზე დადგენილი კუპონის განაკვეთი და წინასწარ ცხადდება ფინანსთა სამინისტროს მიერ აუქციონის შეტყობინებაში.

9². (გაუქმებულია).

9³. სახაზინო ობლიგაციაზე, რომლის პირველად აუქციონზე ხდება ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისათვის დამატებითი სახაზინო ობლიგაციების გამოშვება, კუპონის განაკვეთად დგინდება პირველად აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მძიმის შემდეგ სამი ციფრის სიზუსტით.

10. ეროვნული ბანკი ვალდებულია აუქციონის დასრულებიდან 1 საათის განმავლობაში სავაჭრო პროგრამის მეშვეობით აუქციონში მონაწილე ბანკებს მიაწოდოს აუქციონში მათი მონაწილეობის შედეგების ამსახველი ინფორმაცია.

11. ტექნიკური პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გადაავადოს აუქციონის შედეგების გამოქვეყნება.

12. აუქციონის შედეგები ქვეყნდება ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის ვებ გვერდებზე არაუგვიანეს აუქციონის ჩატარების დღისა.

მუხლი 7. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე შესყიდვის ფასის და კუპონის გაანგარიშება

1. ერთი სახაზინო ვალდებულების შესყიდვის ფასი გამოიანგარიშება შემდეგნაირად:

$$\text{შესყიდვის ფასი} = \frac{\text{ნომინალური ღირებულება}}{1 + \left[\frac{\text{საპროცენტო განაკვეთი}}{100} \times \frac{\text{დაფარვამდე დღეების რაოდენობა}}{365} \right]}$$

2. ერთი სახაზინო ობლიგაციის შესყიდვის ფასი გამოიანგარიშება შემდეგნაირად:

$$P = \frac{F}{\left(1 + \frac{i}{n}\right)^W} \left[\frac{R}{n} \times \frac{\left(1 - \frac{1}{\left(1 + \frac{i}{n}\right)^N}\right)}{\left(1 - \frac{1}{\left(1 + \frac{i}{n}\right)}\right)} + \frac{1}{\left(1 + \frac{i}{n}\right)^{N-1}} \right]$$

სადაც:

P - შესყიდვის ფასი;

F - სახაზინო ობლიგაციის ნომინალური ღირებულება;

i - აუქციონის მონაწილის მიერ შემოთავაზებული წლიური საპროცენტო განაკვეთი გაყოფილი 100-ზე;

n - კუპონის გადახდების რაოდენობა წლის განმავლობაში;

W - სახაზინო ობლიგაციის შესყიდვის თარიღისა და კუპონის გადახდის მომდევნო თარიღს შორის დღეების რაოდენობა შეფარდებული კუპონების გადახდებს შორის დღეების

რაოდენობასთან;

R - წლიური კუპონური შემოსავლის საპროცენტო განაკვეთი გაყოფილი 100-ზე;

N - დარჩენილი, ჯერ კიდევ გადაუხდელი კუპონების რაოდენობა სახაზინო ობლიგაციის დაფარვამდე.

3. არაკონკურენტული განაცხადები დაკმაყოფილდება საშუალო შეწონილი პროცენტით, რომელიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად:

$$C = \frac{\sum(N \times P)}{\sum(N)}$$

სადაც:

C - საშუალო შეწონილი პროცენტი;

E - ჯამი;

N - აუქციონზე დაკმაყოფილებული კონკურენტული განაცხადების ნომინალური ღირებულება;

P - დაკმაყოფილებული განაცხადების საპროცენტო განაკვეთები;

4. გადასახდელი კუპონი გაიანგარიშება შემდეგნაირად:

$$Q = N \left(\frac{P}{2} \right)$$

სადაც:

Q - კუპონის ფასი;

P - კუპონური განაკვეთი;

N - სახაზინო ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

მუხლი 8. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეგისტრაცია

1. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეგისტრაციასთან, გასხვისებასთან, დაგირავებასთან და ნომინალურ მფლობელობაში გადაცემასთან დაკავშირებული ოპერაციები აღირიცხება ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში, ამავე სისტემის წესების შესაბამისად.

2. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მფლობელს უფლება აქვს გაასხვისოს, დააგირავოს ან ნომინალურ მფლობელობაში გადასცეს ისინი სხვა პირებს.

3. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების თითოეულ ემისიას ფინანსთა სამინისტრო ანიჭებს ISO-6166 სტანდარტის შესაბამისი ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერს, რომელსაც ეროვნული ბანკი არეგისტრირებს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში.

4. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი იქმნება შემდეგი 12 სიმბოლოსაგან:

ა) პირველი და მეორე სიმბოლო არის ქვეყნის საერთაშორისო კოდი GE;

ბ) მესამე სიმბოლო არის ემიტენტის, ფინანსთა სამინისტროს აღმნიშვნელი T;

გ) მეოთხე სიმბოლო არის ფასიანი ქაღალდის ტიპის აღმნიშვნელი:

გ.ა) დისკონტური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში D;

გ.ბ) კუპონური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში C;

დ) მეხუთე და მეექვსე სიმბოლო არის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის დაფარვის წლის აღმნიშვნელი: დაფარვის წლის ბოლო ორი რიცხვი;

ე) მეშვიდე სიმბოლო არის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის დაფარვის თვის აღმნიშვნელი: 1-დან 9-ის ჩათვლით არის თვეები იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით, A არის ოქტომბერი, B არის ნოემბერი, C არის დეკემბერი;

ვ) მერვე და მეცხრე სიმბოლო არის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის დაფარვის დღის აღმნიშვნელი კალენდარული დღის რიცხვი;

ზ) მეათე და მეთერთმეტე სიმბოლო არის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის ემისიის რიგითობის აღმნიშვნელი;

თ) მეთორმეტე სიმბოლო არის საკონტროლო ციფრი (გასაღები), რომელიც გამოითვლება წინა თერთმეტი მონაცემების გათვალისწინებით სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ISO-6166 სტანდარტის შესაბამისად.

5. დაუშვებელია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მფლობელის ცვლილება ან დაგირავება აუქციონზე მათი შეძენის და/ან დაფარვის დღეს.

6. საქართველოში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოქმედი ბანკები ვალდებული არიან:

ა) თავიანთ ბანკში აწარმოონ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მფლობელობის სუბრეესტრები კლიენტების ჭრილში.

ბ) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მფლობელებს მათი მოთხოვნის შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების შესაბამისი ანგარიშები გაუხსნან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში, ამავე სისტემის წესების შესაბამისად.

7. სუბრეესტრში უნდა აისახებოდეს ცალკეული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მიხედვით: სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი, ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, მფლობელის ან ნომინალური მფლობელის ვინაობა, მისი ანგარიშის ნომერი. კლიენტის სახელზე შენახული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გასხვისებისას, დაგირავებისას, ნომინალურ მფლობელობაში გადაცემისას ან კლიენტის მიერ მომსახურე ბანკის შეცვლისას, ბანკი ვალდებულია სუბრეესტრში მოახდინოს სათანადო ჩანაწერები.

მუხლი 9. ანგარიშსწორების წესები

1. აუქციონის შედეგების შესაბამისი ანგარიშსწორება ხორციელდება ფინანსთა სამინისტროს შეტყობინებაში მითითებულ თარიღზე.

2. ანგარიშსწორების დღეს, არა უგვიანეს საოპერაციო საათის დასრულებამდე, ეროვნული ბანკის მიერ ოპერირებად საგადახდო და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემების მეშვეობით ხდება აუქციონში გამარჯვებული ბანკების ანგარიშსწორების ანგარიშებიდან შესაბამისი თანხების ჩარიცხვა სახაზინო სამსახურის ხაზინის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირობის შესასრულებლად, საოპერაციო საათების დასრულებამდე, ბანკი ვერ უზრუნველყოფს აუქციონით დაკმაყოფილებული განაცხადების შესაბამისი თანხების მობილიზებას თავის ანგარიშსწორების ანგარიშზე, რაც აუცილებელია ანგარიშსწორების განსახორციელებლად, უქმდება ბანკის ყველა განაცხადი.

4. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსება ითვლება დასრულებულად ანგარიშსწორების დღეს საოპერაციო საათის დასრულებისთანავე, იმ მოცულობით, რა მოცულობითაც განხორციელდა აუქციონზე დაკმაყოფილებული განაცხადების შესაბამისი თანხების სახაზინო სამსახურის ხაზინის ანგარიშსწორების ანგარიშზე ჩარიცხვა და შესაბამისი მოცულობის ფასიანი ქაღალდების რეგისტრაცია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეესტრში.

5. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაფარვის დღეს, აგრეთვე სახაზინო ობლიგაციების კუპონის გადახდის დღეს, ეროვნული ბანკის მიერ ოპერირებადი საგადახდო და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით, სახაზინო ვალდებულებების შესყიდვის ფასისა და დისკონტის შესაბამის თანხებს, აგრეთვე სახაზინო ობლიგაციების ნომინალის ღირებულებისა და კუპონის შესაბამის თანხებს ეროვნული ბანკი ჩამოჭრის სახაზინო სამსახურის ხაზინის ანგარიშსწორების ანგარიშიდან, რის შესახებაც აცნობებს სახაზინო სამსახურს. ეროვნული ბანკი ბანკების ანგარიშსწორების ანგარიშებზე შესაბამისი თანხების ჩარიცხვას განახორციელებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეესტრში არსებული ჩანაწერების მიხედვით.

6. ფინანსთა სამინისტრო სახაზინო ვალდებულებების ძირითადი თანხის დაფარვას ახორციელებს ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამისი სახაზინო კოდის შემცირების გზით, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ფარგლებში. ხოლო დისკონტის თანხის გადახდას ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან.

7. ფინანსთა სამინისტრო სახაზინო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას ახორციელებს ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამისი სახაზინო კოდის შემცირების გზით, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ფარგლებში. ხოლო ნომინალურ ღირებულებასა და ძირითად თანხას შორის სხვაობის დაფარვას და კუპონის გადახდას ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან.

8. ბანკი ვალდებულია თანხის მიღებისთანავე, დაფარვის დღეს ჩაურიცხოს თანხები საკუთარ კლიენტებს.

9. დაფარვის დღის არასამუშაო დღეზე დამთხვევისას, თანხების ჩარიცხვა განხორციელდება მომდევნო სამუშაო-საბანკო დღეს.

მუხლი 10. მხარეთა პასუხისმგებლობა

1. აუქციონის მონაწილეები ვალდებული არიან განუხრელად დაიცვან ამ დებულების მოთხოვნები.

2. ბანკი პასუხისმგებელია, როგორც თავის საკუთარ, ასევე მისი კლიენტების განაცხადებაზე.

3. ბანკი ვალდებულია შეიმუშაოს და გამოაქვეყნოს თავისი კლიენტებისათვის სახაზინო ვალდებულებებითა და სახაზინო ობლიგაციებით ოპერაციების (ნებისმიერი ფორმით გასხვისება, დაგირავება, ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა) განხორციელების პროცედურები, მათ შორის, მომსახურების ტარიფები, განაცხადების ფორმები და სტანდარტული ხელშეკრულებები.

4. ბანკის მხრიდან ამ დებულების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, ბანკს შეიძლება გარკვეული ვადით აეკრძალოს აუქციონებში მონაწილეობის მიღება.

მუხლი 11. აკრძალული ქმედებები და ბანკების ვალდებულებები

1. ბანკს ეკრძალება ისეთი გარიგებები და ქმედებები, რომელთა შედეგადაც იგი დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად აღმოჩნდება დომინირებულ მდგომარეობაში ფულად, საფინანსო ან საკრედიტო ბაზარზე, აგრეთვე ყოველგვარი მანიპულაცია, რომელიც დაუმსახურებელ უპირატესობას მიანიჭებს მას ან მესამე პირებს, შექმნის საბანკო საქმიანობის კონკურენციის შეზღუდვის, საპროცენტო განაკვეთებისა და საკომისიო გასამრჯელოს ფიქსაციის შესაძლებლობას ან საშიშროებას.

2. ეროვნული ბანკის მიერ ჩატარებულ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების აუქციონებში მონაწილეობისას და ამ მონაწილეობასთან დაკავშირებით, ბანკებს ეკრძალებათ შემდეგი ქმედებების განხორციელება:

ა) ერთმანეთთან წინასწარ შეთანხმდნენ კონკრეტული აუქციონისთვის საკუთარი განაცხადების თაობაზე;

ბ) აუქციონის დამთავრებამდე ერთმანეთს აცნობონ ინფორმაცია საკუთარი განაცხადების შესახებ;

გ) კონკურენტი ბანკების ინსაიდერული ინფორმაციის ან მათგან მიღებული სხვა ინფორმაციის გამოყენებით განახორციელონ ისეთი ქმედებები, რომელიც აუქციონზე მათ ჩააყენებს დაუმსახურებელ უპირატეს მდგომარეობაში სხვა მონაწილეებთან და/ან მესამე პირებთან შედარებით;

დ) აუქციონზე გააკეთონ განაცხადები ერთმანეთის ნაცვლად და/ან ერთმანეთის სასარგებლოდ;

ე) თავიანთი კლიენტების განაცხადების ინფორმაცია გამოიყენონ აუქციონზე ბანკის საკუთარი განაცხადის გაკეთების პროცესში. ბანკმა შიდა პროცედურებით უნდა უზრუნველყოს თავისი კლიენტების განაცხადების დამუშავება ისე, რომ ეს ინფორმაცია არ იქნეს გამოყენებული ბანკის მიერ აუქციონზე საკუთარი სახელით სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვაზე გადაწყვეტილებების მიღებისას;

3. ბანკებს ეკრძალებათ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ჩაერთონ მეორად ბაზარზე ისეთ სავაჭრო გარიგებებში, რომლებიც მიმართულია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ფასებისა და საპროცენტო განაკვეთების მანიპულირებისაკენ.

4. ეროვნული ბანკის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებების აღმოჩენის ან საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს დარღვევის სერიოზულობიდან

გამომდინარე, თავის შეხედულებისმებრ ბანკი გარკვეული დროით აღარ დაუშვას სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების აუქციონებზე.